

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N7 - ინტერნეტ ბანკი

1. ინტერნეტ ბანკის მეშვეობით კლიენტი უფლებამოსილია დისტანციურად, ბანკში მიუსვლელად მისცეს ბანკს დავალება და მოითხოვოს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ოპერაციები.
2. ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას კლიენტი შედის ინტერნეტ ბანკის ვებ გვერდზე და გადის ავტორიზაციას უნივერსალური იდენტიფიკატორის გამოყენებით.
3. კლიენტს აქვს საშუალება გამოიყენოს ავტორიზაციის შემდეგი მეთოდები:
 - 3.1. მარტივი ავტორიზაცია.
 - 3.2. რთული ავტორიზაცია.
4. ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში ინტერნეტ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.
5. ინტერნეტ ბანკით (ვებ გვერდიდან ibank.ge) კლიენტი უფლებამოსილია:
 - 5.1. მიიღოს ინფორმაცია: ანგარიშ(ებ)ის, კრედიტ(ებ)ის, ანაბრ(ებ)ის (დეპოზიტ(ებ)ის), ფასიანი ქაღალდების, დაგროვების პროგრამების, ვალუტის კურსების შესახებ, ასევე ინფორმაცია შვილის ანაბრის (დეპოზიტის), sCool Card-ის შესახებ.
 - 5.2. შეასრულოს გადარიცხვის ოპერაციები;
 - 5.3. შეასრულოს ვალუტის გაცვლა საკუთარ ანგარიშ(ებ)ს შორის;
 - 5.4. გახსნას ან/და დაარღვიოს ანაბარი (დეპოზიტი);
 - 5.5. გაიაქტიუროს ბანკის საკრედიტო შეთავაზება(ებ)ი (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ი) ან/და ანაბრით უზრუნველყოფილი კრედიტი;
 - 5.6. მოითხოვოს საკრედიტო ბარათის ლიმიტის გაზრდა;
 - 5.7. გაააქტიუროს/გამორთოს/დაარედაქტიროს (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) ავტომატური გადახდები, მუდმივი საგადახდო დავალება, SMS ბანკი, ინტერნეტ ბანკი, ბარათის 3D უსაფრთხოება, ელექტრონული ყულაბა, ბარათის დაცვის მომსახურება;
 - 5.8. დაბლოკოს/განბლოკოს/გააქტიუროს Digipass-ი;
 - 5.9. აღადგინოს/შეცვალოს პაროლი/მომხმარებლის სახელი, ავტორიზაციის მეთოდი, ხოლო რთული ავტორიზაციის მეთოდის მქონე კლიენტების მიერ დამატებით შესაძლებელია ამ დანართის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ოპერაცი(ებ)ის დადასტურების მეთოდის ცვლილება, თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;
 - 5.10. შეუკვეთოს სადებეტო ბარათი, მათ შორის ციფრული ბარათი;
 - 5.11. გამოაჩინოს ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - 5.12. მიიღოს/გააგზავნოს ფულადი გზავნილი;
 - 5.13. შექმნას გადახდებისა და გადარიცხვების შაბლონები;
 - 5.14. გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადასახდელები;
 - 5.15. გადაცვალოს Express ქულები ან შეუკვეთოს საჩუქარი MR ქულებით;
 - 5.16. დაბლოკოს ბარათი;
 - 5.17. დაბეჭდოს ანგარიშის რეკვიზიტები, ამონაწერი, გადახდის ან გადარიცხვის ქვითარი;
 - 5.18. მართოს/დაეგემოს საკუთარი ფინანსები;
 - 5.19. შეცვალოს ბანკში დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ნომერი



- და ელექტრონული ფოსტა;
- 5.20. ისარგებლოს სხვა **მომსახურებებით**, რომელსაც **ბანკი** განსაზღვრავს პერიოდულად.
 - 5.21. მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბარზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
 - 5.22. ისარგებლოს ონლაინ კონსულტაციის სერვისით, მათ შორის მიიღოს ინფორმაცია/კონსულტაცია ონლაინ რეჟიმში ან/და გამოიყენოს აღნიშნული სერვისი **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ოპერაცი(ებ)ზე** თანხმობის გასაცემად.
 6. **ინტერნეტ ბანკში ერთჯერადი კოდით** დადასტურებას საჭიროებს შემდეგი **ოპერაციები**:
 - 6.1. გადარიცხვა **მესამე პირთან** ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, გადარიცხვის **ოპერაციის ერთჯერადი კოდით** დადასტურება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება განმეორებით (პირველი გადარიცხვის შესრულებიდან 5 წლის განმავლობაში) ერთი და იმავე რეკვიზიტზე (**მიმღების პირადი ან/და ანგარიშის ნომრის გამოყენებით**);
 - 6.2. ანაბრის (დეპოზიტის) გახსნა /დარღვევა **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
 - 6.3. სადებეტო **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** შეკვეთა ან/და **ბარათის** დაბლოკვა/განბლოკვა. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბარათის** შეკვეთა არ საჭიროებს **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს **რთული ავტორიზაციის მეთოდით**;
 - 6.4. **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** გამოჩენა;
 - 6.5. **ავტომატური გადახდების, მუდმივი საგადახდო დავალების, ელექტრონული ყულაბის, ბარათის დაცვის სერვისის, ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** გააქტიურება;
 - 6.6. **SMS ბანკის** გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
 - 6.7. **მომხმარებლის სახელის, პაროლის და ავტორიზაციის მეთოდის** ცვლილება;
 - 6.8. **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი **ელ.ფოსტა**, ფინანსური ნომერი) ცვლილება;
 - 6.9. **Digipass-ის** დაბლოკვა/განბლოკვა/გააქტიურება;
 - 6.10. შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ის** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ის**) აქტივაცია. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, კრედიტის აქტივაცია არ საჭიროებს **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს **რთული ავტორიზაციის მეთოდით**;
 - 6.11. **ფულადი გზავნილის** მიღება/გაგზავნა;
 - 6.12. **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტის** სრულად/ნაწილობრივ დაფარვა;
 - 6.13. ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტის** აქტივაცია **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
 7. **ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციის** გარეშე **კლიენტს** საშუალება აქვს გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია**.
 8. **კლიენტს**, რომელიც წარმატებით გაივლის **ონლაინ იდენტიფიკაციას** ან ფლობს **ბანკის ბარათ(ებ)ს**, შესაძლებლობა აქვს **ინტერნეტ ბანკით** დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**. **ონლაინ იდენტიფიკაციის** წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **კლიენტი** უთითებს სასურველ **მომხმარებლის სახელსა და პაროლს**; ხოლო, **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე** რეგისტრაციისას, **კლიენტი** უთითებს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს** რის შემდეგაც უნდა მიუთითოს **ერთჯერადი კოდი**, რომელსაც მიიღებს **ფინანსურ ნომერზე**. **ერთჯერადი კოდის** წარმატებით



- მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.
9. ინტერნეტ ბანკით პაროლის აღსადგენად კლიენტმა უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და მიუთითოს ერთჯერადი კოდი, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი. კლიენტი ერთჯერადი კოდს მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე პაროლის აღდგენის შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც.
 10. კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, კლიენტს შესაძლებლობა ექნება მიიღოს შესაბამისი ელექტრონულ საბუთი.
 11. ბანკი უფლებამოსილია:
 - 11.1. ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ავტორიზაციის ან/და ოპერაციის შესრულების/ დადასტურების მეთოდი.
 - 11.2. ელექტრონული შეტყობინების სახით კლიენტს გაუგზავნოს სხვადასხვა სახის შეტყობინებები ინტერნეტ ბანკში, რომელიც ჩაითვლება ბანკის მიერ სრულად და ჯეროვნად განხორციელებულ კომუნიკაციად.
 - 11.3. ოპერაციების განხორციელებისას დაუკავშირდეს კლიენტს მის ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. როდესაც ბანკი დაუკავშირდება კლიენტს, იგი არასოდეს დაუსვამს კლიენტს კითხვას და/ან მოსთხოვს მას ინფორმაციას უნივერსალური იდენტიფიკატორების შესახებ. ბანკი კლიენტს დაუსვამს კითხვებს კლიენტის შესახებ იმ ინფორმაციიდან, რომელიც არსებობს ბანკში (მაგ: კლიენტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე) და რომელიც ბანკს მისცემს კლიენტის იდენტიფიკაციის საშუალებას.
 12. ვებ-გვერდის მისამართი, რომლითაც კლიენტი უკავშირდება ინტერნეტ ბანკს შეიძლება შეიცვალოს.
 13. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე შეწყვიტოს ინტერნეტ ბანკით მომსახურება, თუ:
 - 13.1. კლიენტს აღარ აქვს ბანკში გახსნილი არცერთი ტიპის ანგარიში ან;
 - 13.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული ინტერნეტ ბანკის საკომისიო.
 14. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გადაწყვეტს ინტერნეტ ბანკის დროებით შეჩერებას ან/და შეწყვეტას, იგი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ, 2 (ორი) საბანკო დღით ადრე აცნობოს ბანკს წერილობითი ფორმით.